საისტორიო ცენტრალური
ფონდი № 1864 ანაწერი № 2
საქმე № 79

საქართველოს ეროვნული არქივი
National Archives of Georgia

სომხეთის მთავრობამ ამიერკავკასიის საერთო ინტერესებისა და - იმ პრინციპების მიხედვით, რომელნიც აღიარებულ იქმნა სამშვიდობო კონფერენციის იანვრის 24-ს მომხდარ სხდომაზე, თავი შეიკავა ზანგეზურში, ჯერ დიდი ბრიტანეთის მთავარსარდლობის მიერ, შემდეგ კი მოკავშირეთა უზენაესს მთავარსარდლის პოლკოვნიკ ჰასკელის მიერ დამყარებულ წესრიგის დარღვევისაგან, ვინაიდან დარწმუნებული იყო, რომ აზერბეიჯანის მთავრობა აღჭურვილი იმავ მოსაზრებებით - რომ დაცულ იქმნას მშვიდობიანი განწყობილება ამიერკავკასიაში, - რაიცა ეგზომ ეჭირვებათ ამიერკავკასიის ერებს, თავის მხრით ხელს აიღებდა ყოველივე, სომხეთის წინააღმდეგ მიმართულ, აგრესიულ მოქმედებაზე. მაგრამ, გარდა ამისა, რომ აზერბეიჯანის ყოფილი წარმომადგენელი და მათი უამრავი აგენტები

სისტემატიურად ამბოხებდნენ და ფულით ეხმარებოდნენ შარურში და ნახიჩევანში მცხოვრებ მუსულმანებს სომხეთის მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ აჯანყების მოწყობაში, რაიცა დოკუმენტალურად დამტკიცებულია,